პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №12

ქ. თბილისი 23.09.2016

სხდომას ესწრებოდნენ:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:
ქეთევან ჯაყელი – სსიპ - ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე (შემდგომში - თავმჯდომარე);
საბა სარიშვილი – აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს პროექტი „ზრდა საქართველოში" - განმახორციელებელი Chemonics International, მრჩეველი ბიზნესის განვითარების საკითხებში, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
მაია ჩიხლაძე - ა(ა)იპ - საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი, შპს ,,საზოგადოებრივ კოლეჯ პანაცეას" დირექტორის მოადგილე, სხდომის მდივანი; (შემდგომში - მდივანი)
ნიკოლოზ ჩაჩხიანი - პროფესიული განათლების ექსპერტი, Chemonics International;
მამია ჯანჯალია - სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის მოადგილე.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:
თამარ მახარაშვილი - დირექტორის მოადგილე
კახაბერ ერაძე - „პროფესიულ კვალიფიკაციათა ხელშეწყობის პროგრამის" მენეჯერი;
ლევან მადათოვი - შესაბამისობის შეფასების და მონიტორინგის სამმართველოს უფროსი;
ნინო გაგელიძე - შესაბამისობის შეფასების და მონიტორინგის სამმართველოს კოორდინატორი;
თამარ შენგელია - შესაბამისობის შეფასების და მონიტორინგის სამმართველოს სპეციალისტი.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯ „აისის"წარმომადგენლები:
მალხაზ ასლამაზაშვილი - დირექტორის მოადგილე;

სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „ახალი ტალღის" წარმომადგენლები:
დავით მჭედლიშვილი - დირექტორი;

სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „იბერიის"წარმომადგენლები:
ანა ცუცქირიძე - დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი;
დარეჯან ლოსაბერიძე - დირექტორის მოადგილე.

სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯის წარმომადგენლები:
თეიმურაზ ასათიანი - დირექტორი;
თეა ლილუშვილი - ხარისხის მენეჯერი;

ა(ა)იპ - სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის წარმომადგენლები:
დათუნა რაქვიაშვილი - დირექტორი;
არჩილ ცინცაძე - დირექტორის მოადგილე;
ეკატერინე კორძაია - ხარისხის მართვის მენეჯერი.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):
ეკატერინე გიგაშვილი;
თამარ ვალიშვილი;
მაყვალა დარსანია;
მარიამ დარბაიძე;
ლიანა ჩარკვიანი;
ნატალია ბარათელი;
მაკა კაჭარავა;
მაია ხურცილავა;
ნანა ბარნაბიშვილი;
მაკა ტუკვაძე;
ქეთევან ჯანელიძე;
შორენა ჯაფარიძე;
დალი კალაძე.

საბჭოს სხდომა დაიწყო 16:40 საათზე.

თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს მდივნის არყოფნის გამო სხდომის მდივნის ფუნქცია განესაზღვრა საბჭოს წევრ მაია ჩიხლაძეს.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯ „აისის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „ახალი ტალღის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „იბერიის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4.სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5.ა(ა)იპ - სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.

შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი. შესაბამისად, საბჭოს წევრებმა წარმოდგენილი სახით ერთხმად დაამტკიცეს სხდომის დღის წესრიგი.

1. სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „აისის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ეკატერინე გიგაშვილმა მან აღნიშნა, რომ დაწესებულება გადიოდა ხელახალ ავტორიზაციას და განაცხადა, რომ დაწესებულება ახორციელებდა როგორც საგნობრივ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს, ასევე ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ პროგრამებს, ასევე პროგრამას რომელიც განხორციელდებოდა ე.წ „დუალური“ მიდგომით, რაც გულისხმობდა პრაქტიკული სწავლის შედეგების მიღწევას საწარმოში. გარკვეული ხარვეზები ადგილზე გამოსწორდა. დაწესებულება აკმაყოფილებდა ავტორიზაციის სტანდარტებითა და ჩარჩო დოკუმენტებით განსაზღვრულ პირობებს. აღსანიშნავი იყო, რომ დაწესებულება პროგრამებს ახორციელებდა რამდენიმე მისამართზე.

საბჭოს წევრები დაინტერესდნენ რამდენი სტუდენტზე იყო ჯამურად გათვლილი დაწესებულების რესურსი. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ წინა ავტორიზაციით კვოტა განსაზღვრული იყო 1120 პროფესიული სტუდენტით, ამ ეტაპზე შესაძლებელი იყო 1300 პროფესიული სტუდენტის მომსახურება.ზემოაღნიშნულს დაეთანხმა ექსპერტიც.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „აისისათვის“ ავტორიზაციის მინიჭებისა და პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის 1300-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „აისს“ (ს/კ:227770800) 6 წლის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (საზოგადოებრივი კოლეჯი) და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1300-ით.

2. სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „ახალი ტალღის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ნატალია ბარათელმა მან აღნიშნა, რომ დაწესებულება გადიოდა ხელახალ ავტორიზაციას და განაცხადა, რომ დაწესებულება ახორციელებდა როგორც საგნობრივ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს, ასევე ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ პროგრამებს. დაწესებულება აკმაყოფილებდა ავტორიზაციის სტანდარტებითა და ჩარჩო დოკუმენტებით განსაზღვრულ პირობებს. იმ მოდულურ პროგრამებზე რომელზეც სრულად არ იყო შეძენილი მატერიალური რესურსი დაწესებულებამ უარი თქვა პროგრამების განხორციელებაზე რაც აისახა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

საბჭოს წევრები დაინტერესდნენ რამდენ სტუდენტზე იყო ჯამურად გათვლილი დაწესებულების რესურსი. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ შესაძლებელი იყო 1700 პროფესიული სტუდენტის მომსახურება. ზემოაღნიშნულს დაეთანხმა ექსპერტიც.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „ახალ ტალღას“ (ს/კ:246954620) 6 წლის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (საზოგადოებრივი კოლეჯი) და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1700-ით.

3. სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „იბერიის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინეს ნანა ბარნაბიშვილმა და მაკა კაჭარამავ. მათ აღნიშნეს, რომ დაწესებულება გადიოდა ხელახალ ავტორიზაციას და განაცხადეს, რომ დაწესებულება ახორციელებდა როგორც საგნობრივ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს, ასევე ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ პროგრამებს. დაწესებულება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს ახორციელებდა ქუთაისსა და ბაღდათში. დაწესებულება აკმაყოფილებდა ავტორიზაციის სტანდარტებითა და ჩარჩო დოკუმენტებით განსაზღვრულ პირობებს.

საბჭოს წევრები დაინტერესდნენ რამდენი სტუდენტზე იყო ჯამურად გათვლილი დაწესებულების რესურსი. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ წინა ავტორიზაციით კვოტა განსაზღვრული იყო 1160 პროფესიული სტუდენტით და სურვილი ჰქონდათ არ შეცვლილიყო ზღვრული რაოდენობა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „აისისათვის“ ავტორიზაციის მინიჭებისა და პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის 1160-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „იბერიას“ (ს/კ:212682051) 6 წლის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (საზოგადოებრივი კოლეჯი) და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1160-ით.

4. სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ქეთევან ჯანელიძემ. მან აღნიშნა, რომ სახელმწიფოს მიერ დაფუძნდა ახალი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც აგრარული მიმართულებით განახორციელებდა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს - კერძოდ განხორციელდებოდა მეფუტკრეობის, მეხილეობის და მევენახეობა-მეღვინეობის პროგრამები. დაწესებულების განკარგულებაში იყო 20 ჰა მიწის ნაკვეთი სადაც გაშენებული იყო სხვადასხვა ჯიშის კურკოვანი და თესლოვანი მცენარეები. მევენახეობა-მეღვინეობის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა განხორციელდებოდა ე.წ „დუალური" მიდგომით. გაფორმებული იყო შესაბამისი მემორანდუმები ღვინის კომპანიებთან.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა რომ მზად იყვენ ჯამურად მომსახურება გაეწიათ 340 პროფესიული სტუდენტისათვის.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯისათვის ავტორიზაციის მინიჭებისა და პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის 340-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივ კოლეჯს (ს/კ:236098851) 6 წლის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (საზოგადოებრივი კოლეჯი) და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 340-ით.

5.ა(ა)იპ - სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინეს შორენა ჯაფარიძემ და დალი კალაძემ. მათ აღნიშნეს რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, სამთო გამყოლთა ასოციაციისა და მთის კურორტების განვითარების კომპანიის მიერ ერთობლივად დაფუძნდა - ა(ა)იპ - სათავგადასავლო ტურიზმის სკოლა. დაწესებულება ორიენტირებული იყო სამთო და საფეხმავლო გამყოლების მომზადებაზე. შორენა ჯაფარიძემ აღნიშნა, რომ პროფესიული სტანდარტები ცენტრთან ერთად შეიმუშავა თავად სამთო გამყოლთა ასოციაციამ ამ ეტაპზე ჩარჩო დოკუმენტები არ იყო დამტკიცებული და პროგრამები წარმოდგენილ იქნა როგორც მოდიფიცირებული საგნობრივი პროგრამები. პროგრამებში იყო გარკვეული ხარვეზები, პროგრამების დამტკიცებას სჭირდებოდა სამეთვალყურეო საბჭო. წესდებაში შესული ცვლილებების თანახმად, პროგრამების დამტკიცება დირექტორს შეეძლო. პროგრამები დამტკიცდა განახლებული სახით, რაც ვიზიტის შემდეგ წარმოდგენილ იქნა ცენტრში.

დაწესებულების დირექტორმა, დათუნა რაქვიაშვილმა აღნიშნა, რომ 23 წლის განმავლობაში ამ მიმართულებით მუშაობდნენ, 2 წლის წინ დაინახეს აუცილებლობა რომ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებად ჩამოყალიბებულიყვნენ და დაიწყეს მუშაობა ცენტთან ერთად სტანდარტების შემუშავებაზე. მიიღეს მონაწილეობა ათასწლეულის გამოწვევის გრანტში და გრანტის მისაღებად აუცილებელი იყო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი. ამ ეტაპზე 15-15 სტუდენტის მიღებას გეგმავდნენ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - სათავგადასავლო ტურიზმის სკოლისათვის ავტორიზაციის მინიჭებისა და პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის 30-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - სათავგადასავლო ტურიზმის სკოლას (ს/კ:429322985) 6 წლის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (საზოგადოებრივი კოლეჯი) და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 30-ით.

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ 18:30 საათზე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე
ქეთევან ჯაყელი

მდივანი
მაია ჩიხლაძე